

დრეკადობის ბრტყელი თეორიის შერეული ამოცანა ორადბმული არისათვის

ტრისტან ასლანიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო
email: tristanaslanishvili@gmail.com

სტატიაში შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის შერეული ამოცანა ორადბმული არისათვის, რომლის გარე საზღვარი წარმოადგენს კვადრატის საზღვარს, ხოლო შიდა საზღვარი არის საძიებელი თანაბრად მტკიცე ხვრელი. მოცემული დრეკადი სხეულის საზღვრის ყოველ წრფივ მონაკვეთებზე მოდებულია სწორფუძიანი აბსოლიტურად გლუვი მყარი შტამპები, რომლებზეც მოქმედებს შეყურსული ძალები. ხახუნი არ არსებობს მოცემული დრეკადი სხეულის ზედაპირსა და შტამპებს შორის. საზღვარზე მხების ძაბვები უდრის ნოლს და ნორმალური გადაადგილებები უბან-უბან მუდმივებია. კომპლექსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით დადგენილია თანაბრადმტკიცე უცნობი საზღვრის განტოლება და სხეულის დამაბული მდგომარეობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა უზრუნველყოფს ხვრელის საზღვარზე ძაბვების ოპტიმალურ განაწილებას ხვრელის საზღვრის ფორმის სათანადო შერჩევის გზით.